სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 9 23 0001490041

03/11/2023

**სტუ-ში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით პრაქტიკული მოსინჯვის ჩატარების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის, “2023 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, აპლიკანტთა შერჩევის პერიოდის განსაზღვრის შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 20 სექტემბრის MES 3 23 0001201928 ბრძანების, „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს სტუ-ში 2023 წელს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტისათვის პრაქტიკული მოსინჯვის კომისიის შემადგენლობა №1 დანართის შესაბამისად.

2. სტუ-ში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისათვის პრაქტიკული მოსინჯვა ჩატარდეს 2023 წლის 06 ნოემბერს 13:00 საათიდან 14:00 საათამდე (მის.: თბილისი, მ. კოსტავას 68, სტუ-ის I კორპუსი).
3. პრაქტიკული მოსინჯვა ჩატარდეს აპლიკანტების მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი დონის შესაბამისი თითოეული აქტივობის პრაქტიკული მოსინჯვის გზით.
4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფა დაევალოს სტუ-ს სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს თამარ წერეთელს.
5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სტუ-ის ვიცე-რექტორს ლევან კლიმიაშვილს.
6. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტს.
7. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N64).

რექტორის მოადგილე
ზურაბ გასიტაშვილი